კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	სამართლი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Law
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	რეგულირებადი
სწავლების ენა	
	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	სამართლის ბაკალავრი (0421)
ინგლისურად:	Bachelor of Law (0421)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	07.08.2009
პროგრამის განახლების თარიღი	29.06.2026 (01/01-65)
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 ECTS კრედიტს. წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 აკადემიურ წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო 160 ECTS კრედიტი და არჩევითი კომპონენტი 20 ECTS კრედიტი. სპეციალობის ძირითადი სწავლის სფეროა 155 ECTS კრედიტი და არჩევითი 25 ECTS კრედიტი .

№	მოდული	საერთო ECTS	სავალდებულო კომპონენტი	არჩევითიკომპონენტი
1	სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული	10 ECTS	10 ECTS	
2	პროფესიული განვითარებისა და სპეციალობის მოდული	15 ECTS	10 ECTS	5 ECTS
3	საჯარო სამართლის მოდული	30 ECTS	30 ECTS	----------
4	კერძო სამართლის მოდული	50 ECTS	50 ECTS	----------

5	სისხლის სამართლის მოდული	25 ECTS	25 ECTS	----------
6	საერთაშორისო სამართლის მოდული	15 ECTS	15 ECTS	----------
7	არჩევითი სამართლებრივი სპეციალიზაციის მოდული	10 ECTS		10 ECTS
8	პრაქტიკული უნარების მოდული	10 ECTS	5 ECTS	5 ECTS
9	ინგლისური ენის მოდული	15 ECTS	15 ECTS	----------

შენიშვნა: ინგლისური ენის მოდულის ფარგლებში არჩევით სასწავლო კურსთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი მოდულის აღწერა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.
ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
პროგრამაზე სწავლის მსურველმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი უცხო ენა: ინგლისური ენა, ან რუსული ენა, ან ფრანგული ენა, ან გერმანული ენა.

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის მიზანი	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: • უზრუნველყოს სტუდენტებისთვის სამართლის სისტემის, მისი ძირითადი პრინციპების, წყაროებისა და დარგების შესახებ საფუძვლიანი და სისტემური ცოდნის მიღება, მათ შორის საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. • განავითაროს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნება, სამართლებრივი ნორმების განმარტებისა და გამოყენების უნარი, სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზისა და დასაბუთებული გადაწყვეტის კომპეტენცია. • ჩამოუყალიბოს სტუდენტებს სამართლებრივი ინფორმაციის მოძიების, კრიტიკული შეფასებისა და ეფექტიანად გამოყენების უნარი, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების გამოყენებით. • განუვითაროს სამართლებრივი წერისა და კომუნიკაციის უნარები, მათ შორის სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება, არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბება და მისი ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენა. • უზრუნველყოს სტუდენტების მიერ თანამედროვე ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენების უნარის განვითარება სამართლებრივი საქმიანობის პროცესში, პროფესიული ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და მონაცემთა კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვით. • ჩამოუყალიბოს პროფესიული ეთიკის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული ღირებულებები და პასუხისმგებლიანი პროფესიული ქცევის უნარი. • განუვითაროს სტუდენტებს დამოუკიდებელი სწავლის, პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და სამართლებრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტაციის უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები	**A. ცოდნა და გაცნობიერება** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: A.1. განმარტავს სამართლის სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, წყაროებსა და დარგებს, მათ შორის საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ თეორიებსა და რეგულირების თავისებურებებს, და კრიტიკულად აფასებს მათ ურთიერთმიმართებასა და როლს სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბებაში. A.2. აღწერს სახელმწიფო მოწყობის პრინციპებს, საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებსა და მექანიზმებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის თავისებურებებს, ასევე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს. A.3. განმარტავს სამართლის ნორმის გამოყენების მექანიზმებს, მოთხოვნის საფუძვლების შემოწმების ლოგიკას, სამართლებრივი კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებსა და მათი სამართლებრივი გზით გადაწყვეტის ძირითად პრინციპებს. **B. უნარი** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: B.1. ამოიცნობს და აანალიზებს სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ პრობლემებს, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და შეიმუშავებს სამართლებრივად დასაბუთებულ გადაწყვეტის გზებს. B.2. მოიძიებს, არჩევს და აანალიზებს სამართლებრივ ინფორმაციას, მათ შორის კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, ეროვნულ და საერთაშორისო წყაროებს, და ეფექტიანად იყენებს მათ სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. B.3. ამზადებს სამართლებრივ დოკუმენტებს, მათ შორის საპროცესო დოკუმენტებს, სამართლებრივ დასკვნებსა და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, სამართლებრივი და პროფესიული სტანდარტების დაცვით. B.4. აყალიბებს და წარმოადგენს სამართლებრივ პოზიციას ზეპირი და წერილობითი ფორმით, შესაბამისი იურიდიული ტერმინოლოგიისა და არგუმენტაციის გამოყენებით, ასევე ეფექტიანად მონაწილეობს პროფესიულ კომუნიკაციასა და გუნდურ მუშაობაში. B.5. იყენებს თანამედროვე ციფრულ და ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს სამართლებრივი ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში, პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის სტანდარტების დაცვით. **C. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: C.1. მოქმედებს პროფესიული და აკადემიური ეთიკის, სამართლებრივი სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების შესაბამისად, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობისა და პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით, და აცნობიერებს იურისტის როლს სამართლებრივი წესრიგისა და სამართლიანობის უზრუნველყოფაში. C.2. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლისა და პროფესიული განვითარების პროცესს, განსაზღვრავს ცოდნის განახლების საჭიროებებს, ადევნებს თვალს სამართლებრივ სიახლეებს და იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე.
დასაქმების სფეროები	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს; საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორში სამართლებრივი, ადმინისტრაციული, საკონსულტაციო, ანალიტიკური და ორგანიზაციული მიმართულებით საქმიანობის განმახორციელებელ პოზიციებზე, სადაც არ მოითხოვება

	სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი პროფესიული წინაპირობები.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება ეფუძნება სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა

ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.
საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი განსაზღვრავს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ სწავლა-სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს, რომლებიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, აქტიური ჩართულობისა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებს.
სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, მიზნებსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მიდგომები ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის შეძენაზე, არამედ პრაქტიკული, ანალიტიკური, კვლევითი, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარების განვითარებაზე.
სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების ერთობლიობა ხელს უწყობს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების პროცესი ასევე მიმართულია სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების, სამართლებრივი მსჯელობის, დამოუკიდებელი მუშაობის, გუნდური თანამშრომლობის, ეთიკური პასუხისმგებლობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარებისკენ.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განხორციელებისას გამოიყენება სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი ფორმები, მათ შორის: ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, იმიტირებული სასამართლო პროცესი, სიმულაციური აქტივობა, კლინიკური სწავლება, პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლება და სხვა.
პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

- **ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ლექციის, ახსნა-განმარტებისა და აკადემიური მსჯელობის ფორმით სტუდენტისთვის თეორიული მასალის მიწოდება;
- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – სამართლებრივი ცნებების, ინსტიტუტების, ნორმებისა და პრინციპების შინაარსის განმარტება, თეორიული და პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით;
- **დისკუსიისა და დებატების მეთოდი** – სამართლებრივ საკითხებზე სტუდენტთა ჩართულობის, კრიტიკული აზროვნების, სამართლებრივი მსჯელობისა და დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენის უნარის განვითარების მიზნით;
- **შემთხვევის ანალიზის მეთოდი** – კონკრეტული სამართლებრივი კაზუსების განხილვა, სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენება;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი** – პრაქტიკული სამართლებრივი საკითხების ანალიზი, შეფასება და გადაწყვეტა;
- **სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციის მეთოდი** – სამართლებრივი ნორმების შინაარსის, მიზნისა და სისტემური კავშირის განმარტება და მათი პრაქტიკაში გამოყენების შეფასება;
- **სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეთოდი** – ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების განხილვა და სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების შეფასება;

- **შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი** – სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების, ინსტიტუტებისა და სამართლებრივი მიდგომების შედარება და შეფასება;
- **ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი** – სამართლებრივი ინსტიტუტების, წყაროებისა და სამართლის განვითარების ისტორიული საფუძვლების შესწავლა და ანალიზი;
- **კვლევითი მეთოდი** – სამართლებრივი პრობლემების შესწავლა, ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი;
- **წერითი მუშაობის მეთოდი** – კაზუსების, სამართლებრივი დასკვნების, ანალიტიკური ნაშრომების, მემორანდუმებისა და სხვა იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- **პრეზენტაციის მეთოდი** – სამართლებრივი საკითხების ზეპირი წარმოდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა და დისკუსიაში მონაწილეობა;
- **თანამშრომლობითი (ჯგუფური) სწავლების მეთოდი** – სტუდენტთა ჯგუფური მუშაობა, სამართლებრივი საკითხების ერთობლივი განხილვა და არგუმენტირებული პოზიციების გაზიარება;
- **გონებრივი იერიშის მეთოდი** – კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით იდეებისა და მოსაზრებების თავისუფალი გენერირება;
- **ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი** (მოსაზრება – მიზეზი – მაგალითი – შეჯამება) – არგუმენტირებული, თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობის განვითარების მიზნით;
- **როლური თამაშისა და სიმულაციური სწავლების მეთოდი** – პრაქტიკული სამართლებრივი სიტუაციების მოდელირება და პროფესიული უნარების განვითარება;
- **იმიტირებული სასამართლო პროცესის მეთოდი** – სასამართლო პროცესის სიმულაციის გზით სამართლებრივი არგუმენტაციის, ზეპირი გამოსვლისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- **პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი** – ინდივიდუალური ან ჯგუფური სამართლებრივი პროექტების განხორციელება;
- **ელექტრონული სწავლების მეთოდი** – ელექტრონული სასწავლო რესურსების, სამართლებრივი მონაცემთა ბაზებისა და სასწავლო პლატფორმების გამოყენება;
- **დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი** – კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, დოქტრინული წყაროებისა და სხვა სასწავლო მასალის დამოუკიდებლად მოძიება, დამუშავება და ანალიზი.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სამართლის სხვადასხვა მოდულს, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და უზრუნველყოფს სამართლის სფეროში სისტემური ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას. პროგრამა შედგება შემდეგი მოდულებისგან:

- პროფესიული განვითარებისა და სპეციალობის მოდული
- სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული
- საჯარო სამართლის მოდული
- კერძო სამართლის მოდული
- სისხლის სამართლის მოდული
- საერთაშორისო სამართლის მოდული
- პრაქტიკული უნარების მოდული
- ინგლისური ენის მოდული

მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან შინაარსობრივად და მეთოდოლოგიურად დაკავშირებულია. თითოეული მათგანის შესწავლა უზრუნველყოფს სტუდენტის პროფესიული კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას და ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს სავალდებულო წინაპირობას პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა კურსების გასავლელად.

1. პროფესიული განვითარებისა და სპეციალობის მოდული – 15 ECTS, მათ შორის 10 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსი და 5 ECTS – არჩევითი სასწავლო კურსი

პროფესიული განვითარებისა და სპეციალობის მოდული წარმოადგენს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიზანია სტუდენტთა

ზოგადტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარება. აღნიშნული მოდულის ფარგლებში სტუდენტები იძენენ იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მათი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, წერითი და ზეპირი კომუნიკაციის, ანალიტიკური მსჯელობისა და სამართლებრივი არგუმენტაციის უნარების განვითარებას, აგრეთვე პროფესიული თვითგამოხატვის შესაძლებლობების გაძლიერებას.
მოდული აერთიანებს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტებს.
სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრულია სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი და აკადემიური წერა.
არჩევითი კომპონენტი მოიცავს როგორც არასპეციალობის, ასევე სპეციალობის მიმართულების სასწავლო კურსებს, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ინტერესებისა და პროფესიული ორიენტაციის შესაბამისად გააფართოოს ცოდნა და განავითაროს დამატებითი უნარები.
არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადი უნარების, ინტერდისციპლინური ხედვისა და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებაზე და მოიცავს ისეთ კურსებს, როგორიცაა საოფისე კომპიუტერული პროგრამები და საჯარო გამოსვლის პრეზენტაციის უნარები.
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები მიმართულია სამართლებრივი ცოდნის გაღრმავებასა და პროფესიული უნარების განვითარებაზე და მოიცავს საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორიასა და რომის სამართლის საფუძვლებს.

2. სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული – 10 ECTS (სავალდებულო)

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 10 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე. მოდულში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსები: შესავალი სამართალმცოდნეობაში და ქართული სამართლის ისტორია.

3. საჯარო სამართლის მოდული – 30 ECTS (სავალდებულო)

ეს მოდული მოიცავს 30 კრედიტს და მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი და საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება.

4. კერძო სამართლის მოდული – 50 ECTS (სავალდებულო)

კერძო სამართლის მოდული მოიცავს 50 კრედიტს და აერთიანებს შემდეგ სასწავლო კურსებს: შესავალი სამოქალაქო სამართალში, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, სამოქალაქო სამართლის პროცესი I, სამოქალაქო სამართლის პროცესი II, საკორპორაციო სამართალი, შრომის სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

5. სისხლის სამართლის მოდული – 25 ECTS (სავალდებულო)

სისხლის სამართლის მოდული მოიცავს 25 კრედიტს და აერთიანებს შემდეგ სასწავლო კურსებს: სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), სისხლის სამართალი კერძო ნაწილი(ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები), სისხლის სამართალი კერძო ნაწილი(დანაშაულის სხვა სახეები), სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) და სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი).

საერთაშორისო სამართლის მოდული – 15 ECTS (სავალდებულო)

საერთაშორისო სამართლის მოდული მოიცავს 15 კრედიტს და აერთიანებს შემდეგ სასწავლო კურსებს: საერთაშორისო საჯარო სამართალი, ევროპის სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

არჩევითი სამართლებრივი სპეციალიზაციის მოდული – 10 ECTS

არჩევითი სამართლებრივი სპეციალიზაციის ბლოკი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი აკადემიური ინტერესებისა და პროფესიული ორიენტაციის შესაბამისად შეარჩიოს სასწავლო კურსები საჯარო სამართლის, კერძო სამართლის, სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებიდან.

აღნიშნული ბლოკის საერთო მოცულობა შეადგენს 10 ECTS კრედიტს და ხორციელდება სწავლების V და VI სემესტრებში.
სტუდენტი ვალდებულია თითოეულ სემესტრში აირჩიოს მხოლოდ ერთი არჩევითი სასწავლო კურსი, რომლის მოცულობა შეადგენს 5 ECTS კრედიტს. შესაბამისად:
V სემესტრში სტუდენტი ირჩევს ერთ 5-კრედიტიან სასწავლო კურსს;
VI სემესტრში სტუდენტი ირჩევს ერთ 5-კრედიტიან სასწავლო კურსს.
არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია სამართლის შემდეგი მიმართულებებიდან:

- საჯარო სამართალი;
- კერძო სამართალი;
- სისხლის სამართალი;
- საერთაშორისო სამართალი.

სტუდენტს უფლება აქვს არჩევითი საგნები აირჩიოს სხვადასხვა სამართლებრივი მიმართულებიდან ან ერთსა და იმავე მიმართულებაში გააღრმაოს სპეციალიზაცია, თუმცა თითოეულ სემესტრში შესაძლებელია მხოლოდ ერთი არჩევითი სასწავლო კურსის გავლა.
არჩევითი სასწავლო კურსის არჩევა ხორციელდება შესაბამისი სასწავლო კურსისთვის დადგენილი წინაპირობების დაცვით. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მხოლოდ ის სასწავლო კურსი, რომლისათვისაც პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესრულებული აქვს.
მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, შეუძლია აღნიშნული ბლოკის არჩევითი სასწავლო კურსის ნაცვლად ჩაეთვალოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ათვისებული ამ ბლოკში არსებული შესაბამისი სამართლებრივი მიმართულების სასწავლო კურსი.
აღნიშნული ბლოკი უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალური აკადემიური ინტერესების, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების მიზნების შესაბამისად სასწავლო პროცესის მოქნილად და მიზნობრივად წარმართვის შესაძლებლობას.

პრაქტიკული უნარების კომპონენტი - 10 ECTS, მათ შორის 5 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსი, 5 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი გადის პროფესიული ეთიკის სავალდებულო სასწავლო კურსს (5 კრედიტი). პრაქტიკული უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს კერძო სამართალში, სისხლის სამართალში და საჯარო სამართალში, რაც გულისხმობს შესაბამის დარგებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და აღნიშნული კომპონენტიდან სავალდებულოა 5 კრედიტის დაგროვება.

ინგლისური ენის მოდული - 15 ECTS

ეს მოდული მოიცავს სამ სასწავლო კურსს, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს 15 კრედიტს. აღნიშნული კურსებია: ინგლისური ენა B2.0, ზოგადი ინგლისური ენა B2 და იურიდიული ინგლისური ენა (Legal English). თითოეული კურსი შეადგენს 5 კრედიტს; შესაბამისად, მოდულის სრულად დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი.
თუ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონის ან უფრო მაღალი დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ან განათლება მიღებული აქვს ინგლისურენოვან პროგრამაზე, მას უფლება აქვს არ გაიაროს B2 დონის სასწავლო კურსები და მათ ნაცვლად აირჩიოს ინგლისური ენის უფრო მაღალი დონის — C1 დონის — სასწავლო კურსები.
ამასთან, იურიდიული ინგლისური ენა (Legal English) წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს და სტუდენტი ვალდებულია გაიაროს იგი, მიუხედავად ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის არსებობისა. აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს სამართლის სპეციალობისთვის სპეციფიკური ტერმინოლოგიისა და იურიდიული დოკუმენტების ენობრივი სტრუქტურის სიღრმისეულ ათვისებას.
ამ შემთხვევაში, საბაკალავრო პროგრამის 180 კრედიტის დასაგროვებლად საჭირო კრედიტები სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ინგლისური ენის უფრო მაღალი დონის (C1) კურსების, სპეციალობის ან არასპეციალობის არჩევითი კურსების, ან თავისუფალი კომპონენტის საგნების გავლით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალური ინტერესებისა და აკადემიური საჭიროებების გათვალისწინებას და ხელს უწყობს როგორც ენობრივი, ასევე პროფესიული უნარების განვითარებას.

ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისობის დასადასტურებლად უნივერსიტეტი აღიარებს შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატებს: TOEFL PBT — არანაკლებ 513 ქულა; TOEFL iBT — არანაკლებ 79 ქულა; IELTS (British Council ან Cambridge University) — არანაკლებ 5.5 ქულა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

#	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი						ECTS კრედიტი
				I		II		III		
				E ECTS კრედიტი						
				I სემესტრ	II სემესტრ ი	III სემესტრ	IV სემესტრ	V სემესტრი	VI სემესტრი	
			პროფესიული განვითარებისა და სპეციალობის მოდული- (სავალდებულო საგნები)							
	GE0 0005.31	არ გააჩნია	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5/125						
	ACWR 0007.31	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5/125						
			პროფესიული განვითარებისა და სპეციალობის მოდული– (არჩევითი არასპეციალობის საგნები)							
	BGED1220.31	არ გააჩნია	საოფისე კომპიუტერული პროგრამები		5/125					
	BGED1221.31	არ გააჩნია	საკომუნიკაციო და საჯარო გამოსვლისუნარები იურისტებისათვის		5/125					
			პროფესიული განვითარებისა და სპეციალობის მოდული- (სპეციალობის არჩევითი საგნები)							
	BFLW 1220.31	არ გააჩნია	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია		5/125					
	BPLW 1223.31	არ გააჩნია	რომის სამართლის საფუძვლები		5/125					
			მოდული - ინგლისური ენა							
	LAENGL 0007 .31	არ გააჩნია	B2.0 ზოგადი ინგლისური ენა	5/125						
	LAENGL 0008. 31	LAENGL 0007 .31	B2 ზოგადი ინგლისური ენა		5/125					
	LENG2120.31	LAENGL 0008.31	იურიდიული ინგლისური			5/125				
			მოდული ინგლისური ენა (არჩევითი)							

	LAENGL 0009.31	LAENGL 0008.31	C1.0 ზოგადი ინგლისური ენა	5/125						
	LAENGL 0010.31	LAENGL 0009.31	C1 ზოგადი ინგლისური ენა		5/125					
			სამართლის სავალდებულო მოდულები							
			მოდული - სამართლის საფუძვლები და მეთოდები:							
	BPLW 1126.31	არ გააჩნია	შესავალი სამართალმცოდნეობაში	5/125						
	BPLW 1127.31	არ გააჩნია	ქართული სამართლის ისტორია	5/125						
			მოდული - საჯარო სამართალი:							
	BPLW1222.31	BPLW 1126.31	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი		5/125					
	BPLW 2124.31	BPLW1222.31	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები			5/125				
	BPLW2123.31	BPLW1222.31	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი			5/125				
	BPLW2224.31	BPLW1222.31	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება				5/125			
	BPLW2223.31	BPLW2123.31	ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი				5/125			
	BPLW3120.31	BPLW2123.31 BCLW2225.31	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი					5/125		
			მოდული - საერთაშორისო სამართალი							
	BPLW2225 .31	LENG2120.31	საერთაშორისო საჯარო სამართალი (ინგლისურად)				5/125			
	BPLW3223.31	BPLW2225 .31	ევროკავშირის სამართალი (ინგლისურად)						5/125	
	BPLW3224.31	BPLW2225 .31	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები (ინგლისურად)						5/125	
			მოდული - კერძო სამართალი:							
	BCLW1120.31	არ გააჩნია	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5/125						
	BCLW1221.31	BCLW1120.31	სანივთო (ქონებრივი) სამართალი		5/125					
	BCLW1222.31	BCLW1120.31	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი		5/125					
	BCLW2122.31	BCLW1221.31; BCLW1222.31	სახელშეკრულებო სამართალი			5/125				
	BCLW2123.31	BCLW1222.31	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები			5/125				
	BCLW2225.31	BCLW1120.31	სამოქალაქო სამართლის პროცესი - I				5/125			
	BCLW3124.31	BCLW2225.31	სამოქალაქო სამართლის პროცესი - II					5/125		
	BCLW3125.31	BCLW1120.31	საკორპორაციო სამართალი					5/125		
	BCLW3126.31	BCLW1120.31	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი					5/125		
	BCLW3220.31	BCLW2122.31	შრომის სამართალი						5/125	
			მოდული - სისხლის სამართალი:							

	BCRL1220.31	არ გააჩნია	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)		5/125					
	BCRL2122.31	BCRL1220.31	სისხლის სამართალი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)			5/125				
	BCRL 2221.31	BCRL1220.31	სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები)				5/125			
	BCRL2222.31	BCRL2122.31	სისხლის სამართლის პროცესი (ნაწილი I)				5/125			
	BCRL3120.31	BCRL2222.31	სისხლის სამართლის პროცესი (ნაწილი II					5/125		
			მოდული - პრაქტიკული უნარები							
	BJSK 3220.31	BCRL3120.31; BCLW3124.31 BPLW3120.31	პროფესიული ეთიკა						5/125	
			მოდული - პრაქტიკული უნარები							
	BPLW 3225.31	BPLW3120.31	საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი						5/125	
	BCLW 3225.31	BCLW3124.31	კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი						5/125	
	BCRL3225.31	BCRL3120.31;	სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი						5/125	
			არჩევითი სამართლებრივი სპეციალიზაციის მოდული							
			მოდული - საჯარო სამართალი							
	BPLW 3123.31	BPLW2223.31	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამართლებრივი საკითხები							5/125
	BPLW 3124.31	BPLW2223.31	ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი							5/125
	BPLW 3125.31	BPLW2223.31	ადმინისტრაციული სამართალდარღვევები							5/125
	BPLW 3126.31	არ გააჩნია	ნორმატიული ტექნიკა და სამართლებრივი აქტების მომზადება							5/125
			მოდული - საერთაშორისო სამართალი							
	BINL 3120 .31	BPLW 2124.31	ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში							5/125
	BCLW 3127.31	BCLW 2122.31	საერთაშორისო კერძო სამართალი							5/125
	BINL 3121.31	BPLW2225 .31	საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი (ინგლისურად)							5/125
	BINL 3122.31	BPLW2225 .31	სამართლიანი სასამართლოს უფლება (ინგლისურად)							5/125
			მოდული - კერძო სამართალი:							
	BCLW 3221 .31	BCLW 2122.31; BCLW2 123.31	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი							5/125
	BCLW 3222 .31	BCLW 2122.31	ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა							5/125
	BCLW 3223 .31	BCLW 2122.31	საბანკო სამართალი და ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება							5/125

	BCLW 3224 .31	BCLW 2225.31	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდები							5/125
	BCLW 3226 .31	BCLW3125.31; BCLW2225.31	სანოტარო სამართალი							5/125
			მოდული - სისხლის სამართალი:							
	BCRL 3226.31	BCRL3120.31	არასრულწლოვანთა მართლსაჯულება							5/125
	BCRL 3227.31	BCRL3120.31	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები							5/125
	BCRL 3228.31	BCRL 2222.31	გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებები							5/125
	BCRL 3229.31	BCRL 2122.31	სასჯელის შეფარდება							5/125

ECTS კრედიტები	სემესტრში	30	30	30	30	30	30
	წელიწადში	60		60		60	
	საგნების ოპტიმალური რაოდენობა	12		12		12	